საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშაკიძე გიორგი გიულის ძე

ვაშაკიძე გიორგი გიულის ძე (დ. 27. II. 1967, სოფ. დიდი ჯიხაიში, ახლანდ. სამტრედიის მუნიციპალიტეტი), გენერალ-მაიორი (1993). 1985–87 მსახურობდა საბჭ. არმიაში. აქტიურად მონაწილეობდა საქართვ. ეროვნ.-განმათ. მოძრაობაში. 1989–90 იყო სამხ. ეროვნ. ფორმირების „მხედრიონის" ერთ-ერთი შემქმნელი და სამტრედიის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი. აფხაზეთის კონფლიქტის დროს თავდაპირველად მეთაურობდა გაგრის „მხედრიონის" ფორმირებას, შემდეგ – ოჩამჩირის სამხ. ფორმირებას. 1993–94 იყო საქართვ. თავდაცვის მინისტრის მოადგილე, 2001–02 მუშაობდა საქართვ. წარმომადგენლად დსთ-ის შეიარაღებული ძალების საკოორდინაციო შტაბში. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით (1993).

ლ. დოლიძე